

საქართველოს კანონი
„კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და
საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №23, 11.07.2001 წელი, მუხ. №69) შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები:

ა) კანონის მე-5 მუხლი, მე-12 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 36-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

ბ) კანონის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. საქართველოს მუზეუმებსა და საცავებში დაცული მოძრავი ძეგლების საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სახელმწიფო რეგულირება

საქართველოს მუზეუმებსა და საცავებში დაცული მოძრავი ძეგლების საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე.

გ) კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ გასატანად განცხადებული კულტურული ფასეულობის შესწავლისას (დათვალიერებისას) აღმოჩნდა რომ იგი ატარებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნიშნებს და არ აქვს მინიჭებული ძეგლის სტატუსი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს არაუმეტეს 15 დღისა გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება განხილვის ვადის გახანგრძლივებაზე. თუ განცხადების მიღებიდან 3 თვის ვადაში სამინისტრო არ მიანიჭებს კულტურულ ფასეულობას მოძრავი ძეგლის სტატუსს იგი ვალდებულია გასცეს ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ნებართვა.“

დ) კანონის 34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34. სახელმწიფოს უპირატესი შესყიდვის უფლება საქართველოდან გასატანად განცხადებულ კულტურულ ფასეულობაზე

1. თუ კულტურული ფასეულობის, რომელსაც მინიჭებული აქვს ან ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიენიჭა მოძრავი ძეგლის სტატუსი, საქართველოდან გატანა ხორციელდება მისი შემდგომი გაყიდვის მიზნით, მესაკუთრე, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამინისტროს.

2. სამინისტროს გააჩნია საქართველოდან გაყიდვის მიზნით, გასატანად გაცხადებული მოძრავი ძეგლის, მისი ისტორიული, მხატვრული და/ან კულტურული ღირებულებიდან გამომდინარე საქართველოში დატოვების მიზნით, უპირატესი შესყიდვისა და/ან მისი საქართველოში აუქციონის წესით გაყიდვის უფლება.

3. სამინისტრო ვალდებულია ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული უფლების რეალიზების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენის დღიდან არაუგვიანეს გატანის ნებართვის გასაცემად საჭირო ვადისა და დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს.

4. თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოძრავი ძეგლის შესყიდვის და/ან მისი აუქციონის წესით რეალიზაციის შესახებ, იგი უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

5. მოძრავი ძეგლის აუქციონის წესით გაყდვის უმთავრესი პირობაა, მყიდველის მიერ ძეგლის გარკვეული ვადით ან უვადოდ საქართველოდან არ გატანის ვალდებულება.

6. ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები არ ვრცელდება:

- ა) „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ და სხვა რელიგიური ორგანიზაციების საკუთრებაში არსებულ კულტურულ ფასეულობებზე, რომელთაც გააჩნიათ რელიგიური და სასულიერო ღირებულება.
- ბ) სახელმწიფო მუზეუმო ფონდებში, არქივებში, ბიბლიოთეკებში და კულტურული ფასეულობების დაცვის სხვა ანალოგიურ დაწესებულებებში დაცულ ფასეულობებზე, ექსპონატებზე, კოლექციებსა და მოძრავ ძეგლებზე; მათი გაყდვის მიზნით გატანა დასაშვებია, მხოლოდ სამინისტროსთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ გაყიდვიდან შემოსული თანხა მოხმარდება მხოლოდ სანაცვლო, ტოლფასი ისტორიული, კულტურული და/ან მხატვრული ღირებულების მქონე ფასეულობების შექენას.
- გ) თუ ძეგლის მესაკუთრე არის ძეგლის ავტორი (ან მისი მემკვიდრე, ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში), საქართველოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი და მუდმივსაცხოვრებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ, ან ძეგლი მემკვიდრეობით მიიღო უცხო ქვეყნის მოქალაქემ; ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ძეგლის შექენა და/ან მისი საქართველოში აუქციონის წესით რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით.“

ე) კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 34¹ მუხლი:

„ მუხლი 34¹. სახელმწიფოს მიერ ძეგლის შესყიდვის ფასისა ან მის მიერ გამოცხადებული აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრის წესი

1. თუ ძეგლის გატანის მსურველს გატანის მომენტისათვის გააჩნია ოფიციალური შეთავაზება (ოფერტი) პოტენციური მყიდველისაგან, სამინისტროს მიერ შესყიდვის ფასად, ხოლო მის მიერ გამოცხადებული აუქციონის საწყის ფასად მიიჩნევა აღნიშნულ შეთავაზებაში დაფიქსირებული ფასი.

2. თუ გასატანად გაცხადებული ძეგლი გამიზნულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოწყობილ აუქციონზე გასაყიდად, ან გატანის მსურველს გატანის მომენტისათვის არ გააჩნია ოფიციალური შეთავაზება, სამინისტროს მიერ შესყიდვის ფასად, ხოლო მის მიერ გამოცხადებული აუქციონის საწყის ფასად მიიჩნევა, შესაბამისად გასაყიდად გასატან აუქციონზე, ან მსოფილოს სხვა აუქციონზე:

ა) თუ ძეგლის ავტორი ცნობილია, ამავე ავტორის, ძეგლის შესაბამისი უანრისა და თემატიკის კულტურულ ფასეულობებზე დაფიქსირებული გაყიდვის ბოლო ფასი;

ბ) თუ ძეგლის ავტორი უცნობია, ძეგლის შექმნის ისტორიული ეპოქის, შესაბამისი უანრისა და თემატიკის კულტურულ ფასეულობებზე დაფიქსირებული გაყიდვის ბოლო ფასი.

3. თუ გასატანად განცხადებული მოძრავი ძეგლის ფასის დადგენა შეუძლებელია ამ მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სამინისტროს მიერ გასატანი ძეგლის შესყიდვისა და/ან მის მიერ გამოცხადებული აუქციონის საწყისი ფასი დგინდება მოლაპარაკებით, მოლაპარაკების უფლება არ იზღუდება ამ მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაშიც.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

